ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:პ/22867498
თარიღი:07/08/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარშე სხდომა N- 13

დ. ლენტეხი. 2 აგვისტო 2024წ.

მიმდინარე წლის 2 აგვისტოს დღის 11 საათსა და 30 წუთზე შედგა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომა უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. მან აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 14 (თოთხმეტი) წევრი, საპატიო მიზეზით არ ესწრება 7(შვიდი) წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. დაბა ლენტეხში, თამარ მეფის ქუჩის გარკვეული მონაკვეთის დროებით ჩაკეტვის შესახებ.

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი/

შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 14

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა აღნიშნა, რომ დაბაში ავტომობილების რიცხვის მატების გამო, ვიზიტორების და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მომზადდა განკარგულების პროექტი. პროექტის თანახმად

1.უნდა ჩაიკეტოს ავტოტრანსპორტის მოძრაობა თამარ მეფის ქუჩის გარკვეულ მონაკვეთზე, კერძოდ: გზაჯვარედინიდან (N5) - ლენტეხის რაიონული სამმართველოს ჩასახვევამდე საღამოს 6 საათიდან ღამის 1 საათამდე. 2განკარგულების მოქმედების ვადა 2024 წლის 2 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას და შინაგან საქმეთა სამინისტროს ლენტეხის რაიონულ სამმართველოს.

სხდომის წევრებმა მოიწონეს აღნიშნული პროექტი ხმათა უმრავლესობით

მომხრე -14

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიღებული იქნას განკარგულება - დაბა ლენტეხში, თამარ მეფის ქუჩის გარკვეული მონაკვეთის დროებით ჩაკეტვის შესახებ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დასრულდა 12 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე